განმარტებითი ბარათი
ორგანული კანონის პროექტზე

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილების შესრულება.

2017 წლის 16 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო №2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომლითაც საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, არაკონსტიტუციურად ცნო ზემოაღნიშნული კანონის II, III და V თავების ის მუხლები, რომლებიც არეგულირებს დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურას, რომელსაც შესაძლოა შედეგად მოჰყვეს მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების მიხედვით, აღნიშნული საკითხები უნდა წესრიგდებოდეს ორგანული კანონის დებულებებით.

შესაბამისად, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული ნორმები ემატება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს ცალკე თავის სახით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბერს №2/5/658 გადაწყვეტილების შესრულება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური

სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული ნორმები ემატება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს ცალკე თავის სახით. ამასთანავე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ხდება რიგი მითითებითი ნორმების გასწორება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

არ იწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა)სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები ვანო ზარდიაშვილი და რატი იონათამიშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები ვანო ზარდიაშვილი და რატი იონათამიშვილი.